# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილით 9—3-მდე. ხელთნაწერი უკან არ დაბრუნდება. ... რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ხელის მოწერის ფასი:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ.
**საზღვარგარეთ:** წლიურად—10 მ. ...

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანცორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**



პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

## პაზმული და სამხატვრო კრებული

## „მერანი"

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი" უფასოდ დაურიგდებათ.


ტიტულიარნი სოვეტნიკი ნესტორ ლუკასძე შავდია შვილებით, უზომოდ დამწუხრებული და გულ-მოკლული, აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 18 თებერვალს, დღის 4 საათზე, მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მისი უძვირფასესი და დაუვიწყარი მეუღლე

## ოლღა ივანეს ასული
## შ ა ვ დ ი ა ს ი

პანაშვიდები ყოველ-დღე, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება ბინიდან —ამაღლების ქუჩა № 31—პარასკევს, 12 თებერვალს, დილის 10 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.
(1—708—1)


## „ახალი კლუბი"

ერთი კვირის პროგრამა 8—14 თებრვლამდე 1916 წ.

**სამშაბათი**—დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა—სპექტაკლის შემდეგ დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. სპექტ. შესვლა უფასოა.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი.
**შაბათი**—ოპერეტკა—ქართულ ენაზე, ოპერეტკაზე შესვლა უფასოა.
**კვირა**—კონცერტი მომღერალთა გუნდის მიერ, მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, დაწვრილებით პროგრამაში.
**დასაწყისი:** კონცერტებისა საღ. 9 საათ., სპექტაკლისა, ოპერეტკების და სინემატოგრაფისა საღ. 8 საათზე.
კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, საოჯახო საღამოს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 55 კ.
(6—51—2)

## სასტუმრო „ავრორა"

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრ.ებ.
უალრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

**სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.**

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—14)

## საარტისტო საზოგად. საკონცერტო დარბაზში

პარასკევს, 12 თებერვალს, გაიმართება ახალგაზრდა მომღერლის

## ვარდენ ლორთქიფანიძის
## კონცერტი

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მომღერალი **მ. გრ. შენგელისა (რჩეულიშვილი)** და საიმპერატ. ოპერის სოლისტი **მ. ა. ვოლფ-იზრაელი**, ვიოლონჩელზე დამკვრელი ბ-ნი **დიგმელოვი**, აკომპანიმენტი **ქნ. ანდრონიკაშვილი-ციციშვილისა.**
გამგე-დიასახლისი **ქნ. ა. ნ. ბეგთაბეგოვისა.**
ბილეთები დღეიდან იყიდება ქართველ ქალთა საჩაიე „ძმურ ნუგეშში", მხოლოდ კონცერტის დღეს დარბაზის შესავალში. **დასაწყ. საღ. 9-ნახ. საათ.**

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხაილოვის პროსპექტი (ყოფილი აპოლო) № 129—131.

**გასართობი დღეების განაწილება:**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ხუთშაბათი:** | 11 | თებერვალი. | კონცერტი ძმათა სენკევიჩებისა. |
| **პარასკევი:** | 12 | „ | სინემატოგრაფი. საზანდარი. |
| **შაბათი:** | 13 | „ | კონცერტი კარმენ-სოლიარისა (სოპრანო). |
| **კვირა:** | 14 | „ | კონცერტი ვ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით. |

**შესვლა სტუმართა საზოგადო წესით**
დასაწყისი სრულს 9 ს. საღამოთი.
(2—53—1)

## კვირას, 14 თებერვალს

სახაზინო თეატრში
— იმართება —

## შიო მღვიმელის
## საღლესასწაულო დილა

(—უ.—)

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.)

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ** სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ე ქ ი მ ი**
## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**კბილის ექიმმა**
## მამულაიშვილმა
**(ხოდნევისამ)**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**კბილის ექიმი**
## ნინო რცხილაძე

**იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.**


# ომის ამბები

## ომის დეპეშები

10 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში და დვინსკის ... მტრის ... ვერდენის რაიონში ... მტრის ... კავკასიის ფრონტი. ... 

**კავკასიის ფრონტი.** რუსები ოსმალთა ჯარების ნაშთთა დევნას განაგრძობენ.

---

**სოლუნი,** 8 თებერვალი. მიუხედავად იმისა, რომ გერმენოფილური გაზეთები იუწყებიან ოსმალთა ჯარებიც სოლუნის ოპერაციაში მიიღებენ მონაწილეობასაო, ავტორიტეტულ წყაროებიდან ირწმუნებიან, ბულგარეთში ამ ჟამად არც ერთი ოსმალო აღარ სდგას, რომ პირიქით ფრაკიიდანაც კი საჩქაროდ მიერეკებიან ჯარებს კავკასიის საზღვრებისაკენაო.

**რომი,** 8 თებერვალი. მთელს ფრონტზე ალსანიშვი არა მომხდარა რა.

**ტოკიო,** 8 თებერვალი. არგენტინადან გერმანელთა შეიარაღებულ გემების გაქცევის გამო ინგლისმა მიჰმართა იაპონიას თხოვნით: ზომები მიიღე სუეცის აღმოსავლეთით არ შემოიჭრენ ეს გემებიო.

**ჰავრი,** 8 თებერვალი. ბელგეთის ფრონტზე ალსანიშნავი არა მომხდარა რა.

**ლონდონი,** 8 თებერვალი. მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს კუტელმართან დაბანაკებულს ჩვენს ჯარებში, მაგრამ არავითარი ზარალი არ მოუყენებიათ. ჯარები გაგზავნილია ელმერას დასახსნელად. მდგომარეობა სანუგეშებელი ხდება.

**პეტროგრადი,** 8 თებერვალი. საკრედიტო კომისიამ „გამოქცეულთა" მოსაწყობად კავკასიის მეფის ნაცვლის განკარგულებაში გადასდო 5,380 ათასი მანეთი. ეს უნდა მოხმარდეს სამი თვის განმავლობაში, იანვარში, თებერვალში და მარტში.

**პარიზი,** 8 თებერვალი. არტუაში ლილის გზის ჩრდილოეთით მტერმა ნალმი ააფეთქა. სწრაფად კონტრიერიშით ვეკვეთეთ და მათ მიერ დაჭერილი ადგილი დავიბრუნეთ. დღის დამლევს გერმანელებმა სასტიკი სროლა აგვიტეხეს ყივანშის პოზიციებზე, მაგრამ ჩვენი ბატარეებიც მარჯვედ უპასუხებდნენ. სომის სამხრეთით ლიგონის სექტორში მტერმა ჯერ მძაფრი საარტილერიო სროლა ასტეხა, შემდეგ მომხამული გაზები გამოუშვა და მთელს 7 კილომეტრის გასწვრით იერიშით წამოვიდა, მაგრამ ყოველგან შეჩერებულ იქმნა, ფეხი არსად მოვაკიდებინეთ. შამპანში სროლა ავუტეხეთ მათს პოზიციებს სენ-ტილერთან და სენტ-სუპლესთან. არგონებში არტილერიით დავუნგრიეთ სანგრები.

მთელ ვერდენის რაიონში ორთავე მხრით ... 

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ჰინდენბურგი და მაკენზენი.**

როგორც ტყვე ავსტრიელები ამბობენ, გაზაფხულიდან მოყოლებული ყრუ უთანხმოება ჩამოვარდნილა ჰინდენბურგისა და მაკენზენის შუა მაკენზენი დღეს დღეობით ომის ღმერთად ითვლება გერმანეთში და დიდ გავლენას ახდენს თვით იმპერატორ ვილჰელმზეო. ამიტომ ჰინდენბურგის რჩევას აღარავინ აქცევს ისეთს ყურადღებას, როგორც ომის დასაწყისშიო. უთანხმოება ჩამოვარდა პოლონეთის დაპყრობის შემდეგ. ჰინდენბურგი მოითხოვდა, უნდა შევწყვიტოთ შემდეგი ლაშქრობა და აქვე შევჩერდეთო. ბალკანეთის მხრითაც ხაზი უნდა გაემაგრებინათ და ეცადნათ მტრის იერიშებისთვის. მაგრამ მის სურვილის წინააღმდეგ მიღებულ იქმნა მაკენზენის გეგმა. ჰინდენბურგმა განუცხადა, ეს გეგმა დაჰღუპავს გერმანეთს, უნდა ცოცხალ ძალას გავუფრთხილდეთო. რომ ვერა გააწყორა, ითხოვა, სამსახურიდგან მაინც გადამაყენეთო. ეს თხოვნა არ შეიწყნარეს. იგი დვინასკენ გაგზავნეს სამოქმედოდ.

**გერმანელ ექიმთა კონგრესი**

პირველ მაისისთვის დანიშნულია გერმანელ ექიმთა კონგრესი ვარშავაში. ჩვეულებრივ ასეთი კონგრესი ყოველს წელს ჰხდებოდა გერმანეთის სხვა და სხვა ქალაქში. წელს კი ვარშა ამოურჩევიათ.

**ქალთა ქვეყანა**

ერთი გაზეთის თანამშრომელი აღწერს სერბეთის დღევანდელ მდგომარეობას და სხვათა შორის ამბობს: მთელს ამ ქვეყანაში შეგიძლიანთ ნახოთ მხოლოდ ქალები და ბავშვები. ამასთანავე უნდა დავუმატოთ, რომ ბავშვებში გოგოები სჭარბობენ. სერბეთი დღეს „ქალთა ქვეყანად" გარდაიქცა, ფრიად ნაღვლიან შთაბეჭდილებას სტოვებს იგი ყველა მნახველზე.

**მწერალთა მობილიზაცია**

როგორც ავსტრია ისე გერმანია ფრიად ორიგინალი სახით სარგებლობენ მწერალთა ძალღონით. მათ საომრად კი არა ჰგზავნიან, არამედ განსაკუთრებულს მისიას აკისრებენ ნიჭის თანახმად. ამას წინად ერთი მწერალი წაუყვანიათ ოფიცრის ხარისხით. მისთვის უჩვენებიათ კრუპის ქარხანა, შემდეგ წყალქვეშა ნავში ჩაუყვანიათ, უფრენიათ „ცებელინზე" და სხვა. როცა ყველა დაუთვალიერებინებიათ, შეუკვეთნიათ, აბა შთაბეჭდილებანი დასწერეო. ასეთი სახით დაწერილი წიგნაკები ათასობით იყიდება. „ემდენის" შესახებ, მაგალითად, 70 ათასი ცალი გაიყიდა, „გებენისა" და „ბრესლაუს" თარეშიც დიდის ამბითაა აწერილი და არა ნაკლებ გაყიდულა.

**ფრანგული პრესა აზრუმის აღების შესახებ.**

„Petit Journal"-ი სწერს: აზრუმის აღებას ყველა დიდის კმაყოფილებით შეეგებება. იგი სასტიკ თავზარს დასცემს ოსმალეთს, მისი შედეგები დიდს გავლენას მოახდენს სხვა ასპარეზედ. „Journal"-ი ამბობს: „არზრუმის აღებით გზა იხსნება მცირე აზიის აღმოსავლეთ პროვინციაში. ამხრითვე ვემუქრებით სტამბოლს. იშლება ოსმალთა სამხედრო გეგმა. თვით გერმანელთა განზრახვასაც ფრთა შეეკვეცა".

„Petit Parisien"-ი სწერს: „აზრუმის აღება რუსთა იარაღის საოცარი

ღვაწლია, მას არსებითი მნიშვნელობა აქვს მთელს იმ ასპარეზისთვის. მორალური და სტრატეგიული თვალსაზრისით. რუსის ლაშქარი გაეშურება ანატოლის გორაკებისკენ და გზას გადასჭრის ბაღდადისა და სტამბოლის შუა და შავი ზღვის ნაპირებს მოსწყვეტს მთავარი ბაზიდან“.

„Matin“-ი ამბობს: „აზრუმი მთავარი ბურჯი იყო ოსმალთა იმპერიის დასაცველად აზიაში. ეხლა ფართო ასპარეზი ეშლება დიდს მთავარს სამოქმედოდ.

**დიდი ცეცხლი ჩრდილო-ამერიკაში.**

ორი გემი „Bolton Castle“ და „პასოფიკი“, რომელნიც კესტლის სანაოსნო საზოგადოებას ეკუთვნოდა, დ მასთან ოცი ხომალდი ცეცხლით გადაიწვა. კატასტროფა მოხდა იმ დროს, როდესაც ნავთსადგურში გაჩერდენ გემები. ცეცხლი დიდის სისწრაფით გაჩნდა. ქვაბების აფეთქებამ ასობით გაჰფანტა მუშები. 25 კაცი დაიღუპა. ზარალი მილიონ დოლარს აღემატება. ჰფიქრობენ, ცეცხლი ბოროტგამზრახველთა მიერ გაჩნდაო.

**ვერდენის გარშემო**

დასავლეთ—ევროპის ფრონტი კვლავ ახმაურდა. კრონპრინცს განუცხადებია: დროა, გავილაშქროთ ვერდენზე, დიდხანია გვიცდის ასაღებადაო. ვერდენი ფრანგთა ერთი სახელოვანი ბურჯთაგანია ელზას ლორენში. მართალია, თვით ციხე ბელფორისავით არ არის გამაგრებული, მაგრამ სამაგიეროდ ბუნებრივი მდებარეობა ფრიად უწყობს ხელს გერმანელთ საქმე გაუჭიროს და სათანადო პასუხიც გასცეს.

**ახალი მორტირები**

გერმანელები დასავლეთ ევროპის ასპარეზზე ხმარობენ ახალს მორტირებს, რომლის ყუმბარა იწონის 30 კილოგრამს. ეს მორტირა სულ ახალი იარაღია. მისი დანიშნულებაა მტრის იერიშის მოგერება, აღებულ თხრილების დაცვა, აგრეთვე უკან დახეული ჯარები დაიფარონ და საშუალება მისცენ უვნებელი უკუქცევისა.

**მფრინავი ბემე**

ფრანგთა სახელოვანი მფრინავი ბემე დაიღუპა ელზასში უკანასკნელი გათარეშების დროს.

**გერმანეთის ეკონომიური მდგომარეობა.**

გერმანეთის ცნობილი პროფესორი პოლიტიკო ეკონომიურ სფეროში ასწერს გერმანეთის დღევანდელ მდგომარეობას და სხვათა შორის იკვლევს იმ საკითხს, თუ რაოდენად შესაძლებელია გერმანეთში შიმშილი. მისი აზრით თვით გერმანეთის მტრებმაც კი ხელი აიღეს იმ აზრზე, ვითომც ჩვენი დამარცხება შიმშილით შეიძლებოდეს. გერმანელებმა ყოველისფერი გენიოსურად შეუწონეს გარემოებას. ჩვენმა მტრებმა არ იანგარიშეს სულიერი ძალა. ამ ძალამ უკანასკნელი 80% მაინც თვითვე აღმოაჩინა სულისა და ხორცის განმამტკიცებელი საშუალება. ჩვენ, დღიდან ომის გამოცხადებისა, ყოველისფერი გავითვალისწინეთ, მაშინვე შევუდექით ზრუნვას ისეთ საკითხებში და ისეთი ზომები მივიღეთ, რაც სხვებს აზრადაც არ მოუვიდოდათო. არჩეული საზოგადოებანი კეთილ სინდისიერად ასრულებენ მოვალეობას, ეხლა აღარასი გვეშინიან, მომავალს იმედიანად შევყურებთ. მეცნიერება და ხლხის სულიერი ძალა ერთმანეთთან შედუღებულიაო...

**გერმანელი სამხედრო მიმომხილველნი.**

გერმანელი სამხედრო მიმომხილველნი ერთხმად დასძენენ: საფრანგეთში საზოგადო შეტევა ფართო სახით მოხდება, რათა გამოიკვლიონ, სად ელის საფრთხე ფრონტის გარღვევისა. ამის გამოკვლევის შემდეგ ამ ადგილებს გაამაგრებენ და ისევ სხვა ასპარეზებს დაუბრუნდებიანო.

**ბელგეთის მდგომარეობა.**

ბელგეთის გარშემო ბოლო დროს ძრიელ დაიწყეს ლაპარაკი. ირწმუნებოდნენ, სეპერატიულად ზავის ჩამოგდებას სცდილობენო. ამის შესახებ დიპლომატიური წრეებიც ახმაურდნენ. საპასუხოდ ბოლო დროს ბელგეთის კათოლიკეთა ორგანომ „XX siécle“-მა გამოაქვეყნა ცნობა: ასეთმა განზრახვამ გერმანელთ ამაოდ ჩაუარათ. ბელგეთი და გერმანეთი ვერ შეთანხმდნენ და კვლავ ეომებიან ერთმანეთსაო.

**პაპა ბენედიქტე XV.**

ამ ბოლო დროს პაპა ბენედიქტე XV დიდს აგიტაციას ეწევა მთელს ევროპის სახალმწიფოთა შორის ზავის სასარგებლოდ. მისი მიმართვანი ვრცელდება ინგლისში. სხვათა შორის ამბობს: „ჩვენ გვსურს მშვიდობის სუფევა, ჩვენი მოციქულებრივი მოწოდება გვავალებს მივუთითოთ მებრძოლ სახელმწიფოებს ჩააგონ მახვილი... საჭიროა თვითეულმა მათგანმა მოგვახსენოს თვისი აზრი, ჩვენ ყოველ ღონეს მოვიხმართ უსამართლოდ არავინ დაიჩაგროს... როგორც ამბობენ, პაპა ბენედიქტე და მისი ხელქვეითნი მოქმედებენ გერმანეთის შთაგონებით, მისი მხარე უჭერიათ, ჰკიცხავენ იტალიის მინისტრებს, ომში რად ჩაერიეთო. როგორც „ნოვ. ვრემია“ ირწმუნება პაპა ამ გზას იმიტომ დასდგომია, რომ ვილჰელმს აღუთქვამს საერო უფლებებს აღგიდგენთო.

**აზრუმის გარშემო.**

ვ. მიხაილოვსკი „რ. ვ.“-ში სწერს: „სანამ აზრუმი ჩვენ ხელთ არის, მას როგორც ციხე-სიმაგრეს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც მისი ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის გალავანზე მოსაგერიებელ კოშკებს სრულებით მოკლებულია. ოსმალებს ციხე ზურგის მხრივ არ გაუმაგრებიათ, რადგანაც იქიდან მტრის თავდასხმას არ მოელოდნენ. რუსებისთვის კი ეს მხარე ციხისა ზურგი კი არ არის, წინა მხარეა საბრძოლველად. ამისთვის აზრუმს ამ მხრივ კარგი გამაგრება სჭირდება. ქალაქი აზრუმი ოსმალებს თითქმის ხელუხლებლად დაუტოვებიათ. რუსის ჯარს, 3 თებერვალს აზრუმში შესვლისას, აქა-იქ ცეცხლი ჩაუქრია.

საჭიროა გასუფთავდეს და დეზინფექცია გაუკეთდეს ოსმალეთის სომხეთის სატახტო ქალაქს, რომ იქიდან კავკასიაში შავი სახადი არ შემოიტანონ“.

სამხედრო საქმის მცოდნეთა აზრით, აზრუმიდან უკან დახეულ ოსმალთა ჯარის დევნა და განადგურება სწრაფად ვერ იწარმოებს, რადგანაც მეტისმეტად უხეირო გზებია.

სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკომ ბურცევს უარი შეუთვალა სათათბიროს სხდომაზე დასასწრებელ ბილეთის მიცემაზე.

მოსკოვში მარტის 12-ს მოხდება ყრილობა ქალაქთა წარმომადგენლებისა. ყრილობა განიხილავს კომიტეტების ანგარიშებს, სურსათისა, ტრანსპორტისა და გამოქცეულთა საკითხს.

**შამპანში მოქმედება.**

შამპანში ამ უკანასკნელ ხანებში გერმანელებს იერიშები მიაქვთ იმ ადგილებში, სადაც ფრანგებმა გაიმარჯვეს ენკენისთვეში. მათ იერიშებს ფრანგები ენერგიულად იგერიებენ. მიუხედავად ამისა გერმანელთ მაინც ხელთ ჩაუგდიათ 500 მეტრი მანძილი. ფრანგები მოელიან, მოკლე ხანში გერმანელები სწორედ ამ მხარით შემოგვიტევენო.

# სახელმწიფო სათათბირო

**9 თებერვლის სხდომა.**

9 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათსა და 40 წუთზე ეკატერინეს დარბაზში ხელმწიფე იმპერატორისა და დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის თანადასწრებით, აზრუმის აღების გამო გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. იქიდან ხელმწიფე იმპერატორი საპატიო სტუმართა თანხლებით შებრძანდა სახელმწიფო სათათბიროს სხდომის დარბაზში, საცა აღფრთოვანებული „ურას“ ძახილით შეხვდნენ სათაბიროს წევრები. „ოქროს წიგნში“ იმპერატორმა საპატიო სტუმართა შორის მოაწერა ხელი და დარბაზი დატოვა. დიდი მთავარი კი ლოჟაში შებრძანდა და სხდომაზე დარჩა. სათათბიროს სხდომა იწყება 3 საათზე და 12 წუთზე, თავმჯდომარეობს როძიანკო. თავმჯდომარე დეპუტატებს მოუწოდებს ფეხზე ადგომით მოიხსენიონ იმპერატორის ბრძანება სათათბიროს მუშაობის განახლების შესახებ: სათათბიროს „ბ.ბ. წევრნო! დღევანდელი დღე ჩვენთვის ისტორიული დღეა: დღეს ხელმწიფე იმპერატორმა თავისი მობრძანებით გააბედნიერა სათათბირო. ხელმწიფემ დღეს ჩვენთან ერთად ილოცა და სთხოვა ღმერთს ხალხის გამარჯვება და გვისურვა ჩვენ წარმატება და მის ქვეშევრდომთა საკეთილდღეოდ ნაყოფიერი მუშაობა. ხელმწიფისა და ხალხის ერთსულოვნება ამის შემდეგ გამტკიცებულია და ეს სასიხარულო ამბავი რუსის ხალხის გულს სიამით აღავსებს და რუსეთის ყველა კუთხეში სამშობლოს თავგანწირულ დამცველთა გულს გაამხნევებს.

მრავალჟამიერ იყოს ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მრავალსა წელსა. „ურა!“ გაისმის მწყობრი ურა.

თავმჯდომარე განაგრძობს: „ჩვენ შევიკრიბენით სწორეთ იმ დროს, როცა მოვიდა სასიამოვნო ამბავი, რომ ჩვენმა მხნე მხედრობამ შემუსრა მტრის მაგარი აზრუმი. ეს საზღაპრო გმირობა, ჩაიდინა კავკასიის ლაშქარმა და ეს ცხად ჰყოფს თუ რა გმირობა შეუძლია ჩაიდინოს რუსის მამაცმა და შეუპოვარმა ჯარის კაცმა. მე წინადადებას ვიძლევი ხელმწიფე იმპერატორს გავუგზავნოთ უქვეშევრდომილესი მილოცვა და კავკასიის ლაშქარსა და შავი ზღვის ფლოტს მხურვალე სალამი (მხურვალე ტაში). ბრძოლის შორეულ ველზე უკვე აღმობრწყინდა გამარჯვების მომასწავებელი ვარსკვლავი, დასავლეთის სახელოვანი ლაშქარი კი მოუთმენლად ელოდება იმ ბედნიერ წუთს, თუ როდის ეკვეთებიან მტერს, შემუსვრენ მის ძლიერებას და მით ხელმწიფისა და სამშობლოს წინაშე ვალს მოიხდიან. თვალყურს ვადევნებთ რა ჩვენს ჯარს, რომელიც უდრტვინველად იტანს ყოველივე გასაჭირს, ჩვენ არამც თუ ღრმად ვსცემთ მას პატივს, არამედ მისით კიდეც ვამაყობთ—და გვჯერა, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენი იქნება. ჩვენ ვუძღვნით მათ მხურვალე სალამს. მივესალმებით აგრეთვე ჩვენს ფლოტს, რომელიც თავგანწირვით ასრულებს თავის საქმეს. (ტაში). მე წინადადებას ვიძლევი მოვიკითხოთ და მივესალმოთ აგრეთვე ჩვენს სახელოვან მოკავშირეებს“ (მქუხარე ტაში). დეპუტატები ფეხზე დგებიან დიპლომატთა ლოჟებში მსხდომ მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებს თავს უკრავენ. შემდეგ თავმჯდომარე მოაგონებს დეპუტატებს, თუ რა უბედურება ეწვია მოკავშირე სერბიას და ამბობს, რომ ჩვენი ვალია სერბიის ხალხი ვანუგეშოთ, გავამხნევოთ და უსურვოთ კვლავ აღსდგეს და ააყვაოს თავის სამშობლო. (ტაში). ხალხის მიუდგომელი მსჯავრი გაასამართლებს და შესაფერ სახნლს უწოდებს მოღალატე—გამცემ ბოლგარიას. დიდი რუსეთის შვილები ვერ აიტანენ, რომ ის (რუსეთი) გახდეს სხვისი მოხარკე. რუსეთის ხალხს შეუძლია თავის დაცვა, ჩვენ გავიმარჯვებთ“!

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა ომის შესახებ.** ბ. ბ. სახელმწიფო სათათბიროს წევრებო! რუსეთი მტკიცედ განიცდის ყველაფერს, რაც დღევანდელმა უმაგალითო ომმა მოუვლინა და ღრმა რწმენითა და იმედით შეჰყურებს თვის ძლევამოსილ ჯარს და მის უზენაეს მთავარ-სარდალს. რუსეთი, ერთი-ორად მტკიცე და ურყევი განსაცდელისა და გამარჯვების დროს, თავის მეგობრებ-მოკავშირეებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლის, რუსეთს სწამს საბოლოო გამარჯვება, თუმც არ მალავს არც გაღებული მსხვერპლის სიდიადეს და არც დიდი გასაღები მსხვერპლის საჭიროეროებას. მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამა სერიოზულია გრძნობაც. ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ შედეგიც დიდი იქნება. დიდიდან პატარამდე, მაღლიდან ძირამდე ყველა გრძნობს, რომ ეს ასეა, და იმიტომაც სიმტკიცე რუსის ხალხის სულისა გაუტეხელი დარჩება, რაც გინდ ძლიერი დ მძლავრი იყოს მტრის ჯარი! სახიფათოა მტრის მახვილი მაგრამ მით უფრო თავმოყრილი და შეკავშირებულია ხალხის გრძნობა, და უფრო მტკიცე ნებისყოფა რომ ომი გამარჯვებით დაგვირგვინდეს. მთავრობას სწამს რომ იგი მთელი ხალხის გრძნობას და ფარულ ზრახვას გამოსთქვამს თუ იტყვის: „რუსეთი მინამ არ დასდებს იარაღს, მანამ თავის მეგობრებ-მოკავშირეებთან ერთად მტკიცე საბოლოო გამარჯვებას არ მოიპოვებს (ტაში).

**არ შეიძლება შინაური საჭიროების მივიწყება.** ომმა მაშინ მოუსწრო როდესაც ის იყო დაიწყო შინაური შემოქმედებითი მუშაობა. ომმა შეაჩერა ეს მუშაობა. სახელმწიფოსა და საზოგადოების აზრი და გონება სხვა მხარეს მიიქცა. სრულიად ბუნებრივად მთელი ყურადღება სამხედრო საჭიროებას მიექცა. მაგრამ მთავრობას ესმის რომ ომს არ შეუძლია შეაყენოს და შეაჩეროს მიმდინარე დროის საკითხები და ქვეყნის პოლიტიკური მოთხოვნილება, მიუხედავად იმისა, რომ ომს განსაკუთრებული და უპირველესი მნიშვნელობა ეძლევა. მთავრობას მცხოვრებთა პატრიოტიზმის იმედი ჰქონდა და აქვს.

**რუსეთის მომავალი.** კამათი დავა ისპობა, როდესაც რუსეთის მეფის სამხედრო ბანკში აფრიალებულია დროშა, რომელზედაც წარწერილი: „რუსეთის მომავალი მის დაუძინებელ და ვერაგი მტრის დამარცხებაში“. ეს მომავალი გვიახლოვდება, მისი კიდურები ბუნდოვანია, შემოუხაზველი, მაგრამ ეს რწმენას ვერ გაგვიტეხს...

**ახალი ხანა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში.** ახალი მოვლენები ისახება რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში, რაიც დიდ ყურადღებას და სიფრთხილეს მოითხოვს... ომმა გამოაფხიზლა ხალხის ძალა, გააცხოველა მისი შემოქმედებითი მისწრაფებანი... ჩვენი მოვ[illegible] სათანადო სასოფლ[illegible] და საპროფესიო განათლების შემწეობით, გაეღრმავოთ ეს შემოქმედებითი მისწრაფებანი.

**სამრევლო რეფორმა.** ხალხის რელიგიური საჭიროება მრევლის რეფორმას მოითხოვს, ისეთ რეფორმას, რომლის შემწეობით მრევლი მთელის სისავსით შეინახავდეს თავის რელიგიურზნეობრივ სიწმინდეს და ამავე დროს დაიცავდეს მტკიცე დ ინტიმურს კავშირს სულიერ მამასთან და ეკლესიასთან.

**ადგილობრივი თვითმართველობა.** სახელმწიფოს ადმინისტრატიული მოთხოვნილებანი და ხალხის ყოველი ადგილობრივი ერთეული მოითხოვს არსებული „ვოლოსტების“ რეფორმას რომ იგი ისე უფრო უპასუხებდეს საზოგადო ცხოვრების მომავალ ორგანიზაციას მეტი და თვითმოქმედების გამოჩენა შეეძლოს.

მთავრობამ არა მარტო უნდა შეიწყნაროს და განავითაროს ის მოვალეობანი, რომელსაც ცხოვრების მიმდინარეობამ დააკისრა ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს, არამედ უნდა ყოველი ღონე იღონოს რომ ამ დაწესებულებათ მოუპოვოს მუშაკთა საკმაო რიცხვი და გაუუმჯობესოს ადგილობრივი ნივთიერი საშულების წყაროები.

**სანოვაგის საკითხი და გერმანელთა ძალაობა.** განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორ საკითხს. პირველია სანოვაგის საკითხი. ეს საკითხი უნდა განჭობილ და გადაწყვეტილ იქმნას ჯარის საჭიროების თვალთახედვით და მცხოვრებთათვის პირველ საჭიროების საგნების შოვნისა და მოპოების მხრივ. იგი გვავალებს აგრეთვე ბრძოლას იმ გამზრახველთა წინააღმდეგ, ვინც ხელოვნურად იწვევს საქონლის სიძვირეს.

მეორე—გერმანელთა ძალაობა. ეს ორი საქმე ფრიად საყურადღებოა და მოითხოვს დიდ შეთანხმებულ მუშაობას, რომ სხვა და სხვა კომიტეტისა და კომისიის მუშაობა ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებოდეს.

**არ უნდა დავივიწყოთ სხვა ერები.** ვერც მთავრობა და ვერც საკანონმდებლო დაწესებულებანი გვერდს ვერ აუხვევენ იმ მშვენიერსა და კეთილშობილ მაგალითებს, რაიც გამოიჩინეს რუსეთის იმპერიაში მცხოვრებმა ერებმა მტერთან ბრძოლის დროს თავის საერთო დედის დიდი რუსეთი მიმართ.

**კერძოდ პოლონეთის შესახებ.** რაც შეეხება მოძმე პოლონეთის ხალხს, რომელიც მხნედ და მამაცურად იბრძოდა რუსის ძლევამოსილ ჯართან ერთად, ჩვენი მოვალეობაა რაც შეიძლება მალე გავახორციელოთ ის წესი რუსეთთან თანაცხოვრობისა, რომელიც მას აღუთქვეს ომის დაწყების ხანებში და რომელიც ამ კათედრიდან ჩემი წინამოადგილის მიერ, უმაღლესის ბრძანებით აღიარებულ იქმნა.

# სოფელი და სოფლელები

**სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.**

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ № 30)

ბავშვები კვლავად ცელქობდნენ. ჩამოვარდნილ მსხალს ეტაკებიან, სრესენ, ჰგლეჯენ.

— იქნება აქ ჩემის მთხრობელის შვილი ერიოს,—გაიფიქრა სოსემ, წამოდგა და იკითხა.

მთხრობლის ბავშვი სოსეს წინ მიეგება. ბავშვი იყო ქიტესა მოურავისა, რომელიც ტყეში სოსეს შემოხვდა. სოსემ წაიძრო ხანჯლის შვილი, შეუბრალებლად ჩასცა ყელში და ბავშვის უმანკო სისხლით მარჯვენა შეისვარა“. (იქ, გვ. 13), განა შეიძლება იმისი უარის ყოფა, რომ სოსე ნამდვილი პატოლოგიური ტიპია? ჩვენ არ ვიცით, რა სურდა ავტორს, როდესაც ასეთ ტიპს ჰქმნიდა? ნუ თუ ამასაც ხალხის ღირსეულ წარმომადგენლადა სთვლის, ისე როგორც ცეცოს და ჯორზაქარას? მგონია რომ ასეა. თვით უკანასკნელი სიტყვები ზემოდ ამოწერილისა მოწმობს, რომ ავტორი არ თანაუგრძნობს სოსეს და მისი საქციელი საშინელ დანაშაულობად მიაჩნია. მაგრამ იმავე დროს, მოთხრობის ბოლოში, ავტორი შემდეგს სიტყვებს წარმოათქმევინებს თავის გმირს: „ოჰ, კიდეც ეგა მწვავს გულსა, კიდეც ეგ არ მასვენებს... ეს უმანკო სისხლის წვეთებია: მე მოვკალი ქიტესას შვილი“. ამ სიტყვებით კი ავტორი, ხაზს უსვამს, რომ ვითომც სოსე ბუნებით, თავის თავად კარგი მგრძნობიარე ადამიანია, სრულებით არ არის დაბადებული დამნაშავედ, მხოლოდ მისი დანაშაული აფექტის შედეგია, ზნეობრივი მარცხია. აქ, როგორც ხედავთ, ერთგვარი წინააღმდეგობაა. ორში ერთი უნდა იყოს: სოსე ან ანორმალური ადამიანია, პატოლოგიური ტიპია, ან და მხოლოდ გარემოებათა უნებლიეთი მსხვერპლი. მწერალს ამ ერთ-ერთ თვალსაზრისით უნდა დაეხატა მისი სახე. სესეს პიროვნებაში კი ერთმანეთში არეულია სხვა და სხვა, ერთმანეთის მოწინააღმდეგე, ელემენტები.

ჩვენ არ გავაგრძელებთ სიტყვას ამ ფსიხოლოგიურ ანალიზის ნაკლულევანებაზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ სოსე ხალხის წარმომადგენლად და ტიპად არ გამოდგება: მაშასადამე მისი პროტესტი, რომელიც უმანკო სისხლის დაღვრაში გამოიხატა, ავადმყოფი ნერვების დაჭიმვითაა გამოწვეული.

ჩვენ ზემოდ გვქონდა აღნიშნული, თუ როგორ გვიხატავს ს. მგალობლიშვილი სოფლის ჭირ-ვარამს და გმინვას და თუ როგორ ებრძვის ის თავის წარმომადგენლების შემწეობით სოფლის მჩაგვრელების უსამართლობას და თარეშს. ცეცო, ჯორ-ზაქარა. მეველე, ტეტე, სოფლის ღვიძლი შვილნი არიან, სოფლის მსოფლმხედველობის მატარებელნი და გამომხატველნი. მხოლოდ ამ მხედველობას, რწმენას ისინი უფრო აშკარად და მხურვალედ გამოხატავენ.

მაგრამ ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში იმასაც ვხედავთ, რომ თვით ხალხიც, მართალია იშვიათად, გამოდის კოლექტიურად და თავის უკმაყოფილებას ხშირად ენერგიულის ფორმაშიც გამოსთქვამს. ასეთის ხასიათისაა ხალხის გამოსვლა მოთხრობებში: „ღამის მეხრე ცეცო“ და „ჯორ-ზაქარა“. ესეთი გამოსვლა ხალხისა გვიმტკიცებს, რომ ხალხი მზათ არის აქტიურადაც იმოქმედოს, მტერს გაუმკლავდეს, თუკი ვინმემ არ ჩაახედა ცხოვრების ვითარებაში, ნათლად დაანახვა მდგომარეობა და თან სამოქმედოდაც მოუწოდა.

დიდათ საინტერესოა ჩვენთვის ვიცოდეთ, თუ როგორი მსოფლმხედველობა შეადგინა ჩვენმა ხალხმა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, თუ დასვკენამდის მივიდა ის ცხოვრების ათასნაირ ცვალებადობის ზეგავლენით ჭეშმარიტებაზე, ადამიანის პიროვნების ღირსებაზე, ბედნიერებაზე, სიკვდილსიცოცხლეზე, ღმერთზე და სხვა და სხვა.

ქართველს გლეხს, ს. მგალობლიშვილის მოწმობით შეუგნია, რომ ოჯახის დოვლათი და ძლიერება ერთობაშია, რომ ოჯახის წევრების შეთანხმებული და მწყობრი მუშაობა აღონიერებს ოჯახს.

„თუ გლეხის ხალხში რავდენიმე კაცი ტრიალებს, იმას არა უშავს რაო, ამბობს სოფრომ მგალობლიშვილის ერთი გმირი. ესე ხალხ-მრავლად რომ არ ვყოფილიყავით, სიღარიბეს თავს ვერ გავართმევდით“. („ცვრევაზე“, გვ. 12).

ქართველი გლეხი შრომას, გამრჯელობას და მუშაობას არ თვლის ღვთის წყევლად, დასჯად. მისი აზრით, პირიქით მხოლოდ მართალის შრომით შეუძლიან ადამიანს პატიოსნური ცხოვრება. ყველა მოვალეა იშრომოს; არავინ უკადრისობდეს პატიოსანს მიწის მუშაობას. „რათა, ძმაო, რა გაგიფუჭდება რომ გუთანს მისდიო“! გულტკბილად ეუბნება გლეხი აზნაურს.

ხალხის საყვარელი და სათაყვანებელი ის გლეხია, რომელიც სამაგალითოდ მუშაობს და გამრჯელობს. პირველი ღირსება ადამიანისა მისი მხნეობა და გამრჯელობაა.

„ჰი, დედა, დედა! რომ არ შეიძლება ამგვარი ადამიანი შვილი, როგორც ცეცოა? ვერა სულდგმული ვერ ასწრობს მაგ ბიჭსა, ვერა. ღმერთო, სად უდგია სული? დუნიაზე არ იქნება, რა საჭიროა, დუნიაზე, მაგის ბადალი ღამის მეხრე“. ამ სიტყვებს ამბობს ცეცოს სიმღერით გამოღვიძებული ზალიკა“. („ცეცო“, გვ. 14).

ეს ხომ ნამდვილი ჰიმნია შრომის შვილის საქებრად გლეხის მიერ შექმნილი! ეს ხომ შრომის აპოთეოზია! თვით ლ. ტოლსტოი არ იუკადრისებდა ასეთს ხოტბას შრომისადმი!

ხალხსა სწამს, რომ გაჭირვება და მოზღვავებული უბედურება აკეთილშობილებს ადამიანს; ლაღი და უზრუნველყოფილი ცხოვრება კი აფუჭებს, რყვნის მას.

გაჭირვება ავაჟკაცებს, მამაშვილობამ, კაცსა, გაჭირვებაი... გაჭირვება დიდი რამ არის, მაგრამ გულიც უნდა მოვდევდეს“-ო, გატაცებით მოუთხრობს მოხუცებული ბერო სოფლის ბიჭებს.

მართლაც ნამდვილი ჭეშმარიტებაა ასეთი შეხედულობა! აკი სულმნათ შოთამაც სამაგალითოდ გამოსჭედა ეს რწმენით თვისი მშობლის ერისა შემდეგს ლექსში: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“-ო. მხოლოდ ამ რწმენის სიმტკიცით აიხსნება უმაგალითო გმირობა ჩვენის ხალხისა და ის საკვირველი მოვლენა, რომ მან გადიტანა აუტანელი ისტორიული გაჭირვება და დღესაც სცოცხლობს...

ქართველს გლეხს ისიც აქვს შეგნებული, რომ მარტო ის არ არის საკმარისი ადამიანს მკლავი უჭრიდეს ფიზიკური ძალა ჰქონდეს; აუცილებელია მისთვის გონების გამახვილება, საჭიროა სწავლა, ცოდნა. უსწავლელი კაცი ერთს მანყულად არ ღირს“, ამბობს გლეხი გაბრიელა („ცვრევაზე“, გვ. 13).

მეველე ტეტე თავის ხასიათის სიმტკიცეს და მოვალეობის პირნათლად აღსრულებას სწავლის შედეგად სთვლის. „უნდა ყველა კაცი თავის ღმერთსა და სინიდისს ემსახუროს. ი სულით განათლებული ჩემი ოჰტატი დიმიტრი მღვდელი, მე რომ წიგნი მასწავლა, სულ იმას მიჩიჩინებდა, რო კაცმა თვის თავსაც ხო უნდა არგოს, მაგრამ არც სხვა უნდა დაივიწყოსო. ამისთანა კაცს ღმერთი არ დაჰკარგავსო. ისე ჩამეფინა გულში ეს სიტყვები, როგორც ნათელი“ („მეველე“, გვ. 11).

ღმერთი და სინიდისი—აი ის ორი კლდე, რომელზედაც დაფუძნებულია სოფლის ზნეობა, მისი ყოფა-ქცევა, ყისი ადამიანობა. ის, რაც ღვთის კანონს ეთანხმება და რასაც სინიდისი ადასტურებს, გლეხისთვის წმინდა, შეურყეველი და უთუოა. მას სწამს უზენაეს ძალის სამართლიანობა. „ღმერთი, დიდი ღმერთი, იმის მადლმა მაღლიდგან ხედავს მტყუანს და მართალსაცა. ღმერთი მართალს კაცს მის დღეში არ გააფუჭებს... ღმერთი დიდია, ყველას ხედავს, და ვინც აქ ვერ ძლება, იქ შავის მიწით უვსებს თვალებს“—აი როგორ გამოთქმულია სოფლელების ზნეობრივი ფილოსოფია. სოფელი დარწმუნებულია, რომ უსამართლობა აუცილებლად დაისჯება, რომ შავი მიწა ასწორებს ღარიბს და მდიდარს, დიდს და პატარას, ძლიერს და უძლურს. „თვალხარბი იყო, თვალხარბი; კარის მეზობლის პირში ლუკმა შურდა; აყროლებული იყო სოფელი იმისგან... ჰო და! საფლავიც იმისთანა უმაძღარი დახვდა... შავი მიწისთანა სულ ტყუილია, ისე გადაავლებს ხოლმე ჩალასა, რო სუ ერთ ბარში გამოიყვანს ხოლმე“—მსჯელობს ბევრის მნახველი და დაკვირვებულ სოფლელი. („მეველე“, გვ. 24) გაუნათლებელ სოფლის შვილს ისიც სჯერა, რომ ყოველ ადამიანს თავის ვარსკვლავი აქვს ცაზე, რომ ამ ვარსკვლავზეა დამოკიდებული მისი ცხოვრების ავი და კარგიც. რაც ადამიანს დაბადებიდგან გადაწყვეტილი აქვს, იმას, რაც გინდა ეცადოს, ვერ წაუვა. ეს რწმენა ჩვენის ხალხისა ძლიერ ენათესავება ძველი ბერძნების ამ გვარსავე რწმენას. როგორც ვიცით, ძველ ბერძნებს სწამდათ, რომ არის ისეთი უმაღლესი ძალა (ნემეზიდა მოირა), რომელიც წინდაწინ სწყვეტს ადამიანის ბედისწერას და ამ გადაწყვეტილების აცილება არც ერთს ადამიანს არ ძალუძს. ჩვენ ვერ ვიკისრებთ გავარკვიოთ, თუ რომელმა ერმა შეჰქმნა თავდაპირველად ასეთი რწმენა: ქართველებმა, თუ ბერძნებმა. ჩვენ თავისთავად გვაინტერესებს ერთგვარობა რწმენისა, რომელიც კისრულობს ცხოვრების საიდუმლოების ახსნას. მოუსმინოთ მთიულ სესეს მსჯელობას. „მახსოვს, პატარა ბიჭები გავრეკდით ხოლმე ჭალაზე კალოს ხარსა, შემოგვიღამდება, დავეყრებოდით ველზე, ცას შევსცქეროდით და ვირჩევდით ვარსკვლავებსა: არა ეს ჩემია, ვცილაობდით. მახსოვს, რომელიც ძალიან ბრჭყვიალებდა, ყველა იმას ვირჩევდით ხოლმე. ეჰ, რა ვარსკვლავზე დაიბადება კაცი, ის არი! აი ეხლა ის ბრდღვიალა ვარსკვლავი რომ მიწყდა, ძაან ბედნიერი კაცი იქნებოდა“ („მთიული სოსე“, გვ. 11).

**ივ. ვართაგავა.**

(შემდეგი იქნება)

მაგრამ ჯერ ომი და მისი საჭიროება: შინაურ ალმშენებლობითმა მუშაობამ, მიუხედავად თავის დიდი მნიშვნელობისა, ადგილი უნდა დაუთმოს იმ საჭიროებას, რომელსაც ომი გვიკარნახებს.

შემდეგ პირველი მინისტრი აღნიშნავს, რომ მთავრობას მოეხსენება, აზრთა სხვა და სხვაობა, რომელიც შინაური საკითხის შესახებ არსებობს სათათბიროს სხვა და სხვა ჯგუფ შორის და განაგრძობს: „დღეს უადგილოდ მიგვაჩნია ვსთქვათ, თუ რომელ ამ აზრთაგანს ვემხრობითო:

პირველი მინისტრი ასე ამთავრებს თავის სიტყვას: მე ვათავებ იმით, რითაც დავიწყე: ომი გამარჯვებამდე, ეს არის ერთ ერთი რამ, რომელიც უნდა განაგებდეს მთელს ჩვენს ზრახვას, ფიქრებს და მოქმედებას“.

ყველას, რომელთაც ჯარის ზურგს უკან ვიმყოფებით წმინდა მოვალეობად გვადევს დაუღალავად დავეხმაროთ ჩვენს სახელოვანს არმიას მისს საძნელო საქმეში. საჭირო შეერთებული შრომა სახელმწიფოს ყველა ელემენტებისა. უსაქმოდ არავინ უნდა დარჩეს. აუცილებლივ საჭიროა ყველა მწარმოებელი ძალების განვითარება. უნდა განვაგრძოთ მზრუნველობა დასახიჩრებულ მეომართათვის, დაობლებულ ოჯახებისთვის. საჭიროა მიექცეს ყურადღება ჯარის ზურგს უკან წესიერების გაუმჯობესებას და ბოროტმოქმედებათა მოსპობას. ამ სახალხო ომის დროს უნდა დავიწყებულ იქნეს ყველაფერი, რაც კი ხელს შეუშლის მტრის დათრგუნვასა და გამარჯვებას. უნდა აღსასრული დაუდგეს მთავრობისა და საზოგადოების ფართო წრეებს შორის ისეთს განწყობილებას, რომელიც ერის ძლევის სულსა ჰკლავს. მთავრობამ უნდა ურყევლად, სრულის რწმენით და გულწრფელად განახორციელოს ვიწრო თანაზიარობა სახლხო წარმომადგენლებთან და მათთან ერთის აზრით გამსჭვალულმა ძლიერის ხელით წაიყვანოს ერი მტრის საბოლოვო ძლევისაკენ. მთავრობამ უნდა ნდობით მიიწვიოს თვისდა დასახმარებლად საზოგადოებრივი ძალები, და სვით მორწმუნემ, აიძულოს ყველანი იწამონ, რომ, თვის შორის მეგობრული მთავრობა შესძლებს პასუხსაგებ მუშაობაში შეაერთოს ყველა რუსი მოქალაქე. ამაში არის საწინდარი გამარჯვებისა და ძლევისა. (ხანგრძლივი ტაშისკვრა). რუსის მეფემ, სათათბიროში მობრძანებით, დაანახვა ერს თვისი ერთობა მასთან. ყველაფერი ომისათვის, ძლევისათვის! აი ძახილი, რომელიც გაისმა მთელს რუსეთში და რომელიც უნდა გაიმეორონ აქ სახალხო წარმომადგენლებმა. წმინდა რუსეთი უძლეველია, ამოუწურავია მისი ძალები, მას არ აშინებს მსხვერპლი და მძიმე გამოცდანი. რუსის ხალხი სცოცხლობს ერთის აზრით: მტერს არ ჩავუგდოთ ხელში სამშობლო. (ხმები: „მართალია“ „სწორეა“ ხანგრძლივი ტაში). მაშ ისმინეთ, თქვენ, რომელნიც ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულხართ! ხალხის გადაწყვეტილება უცვლელია! ნუ ელით ზავს, ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდის და ულმობელად! (ხანგრძლივი ტაშის კვრა). კითხულობენ სერბიის დეპუტატების მიერ ნიციდგან (საფრანგეთი) გამოგზავნილს დეპეშასა, რომლითაც სათათბიროს ულოცავენ რუსის არმიის სახელოვანს გამარჯვებას—აზრუმის აღებას. (ხანგრძლივი ტაში).

**სამხედრო მინისტრი.** ტრიბუნაზე ასვლისთანავე დარბაზში გაისმა ტაში. თავისი სიტყვა მან დაახასიათა ომის საზოგადო დასურათებით. მისი დამთავრების ვადას ასე მალე ვერ ვიწინასწარმეტყველებო. გამარჯვების თავდებს მინისტრი ჰხედავს შეთანხმებულ მოქმედებაში. მოკავშირენი უნდა ვეცადნოთ ყოველისფერში ერთად ვიყოთ, ჭირსა და ლხინში, ერთად შეტევა, ერთად მოქმედებაო. შემდეგ შეეხო გერმანეთის მთავრობას. იგი—ასე სთქვა მინისტრმა—სცდილობს ხალხი დააშინოს, ვითომც ჩვენა მოკავშირეებს, გვსურდეს მთელი გერმანეთის განადგურება. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენ, მოკავშირენი, ვიბრძვითა არა გერმანელ ხალხის გასანადგურებლად, არამედ პრუსიის მთავრობასთან, რომლის ველური ინსტიქტები ერთხელ და უკანასკნელად უნდა ალაგმული იქმნესო. შემდეგ მინისტრმა აღნიშნა საფრანგეთის სიმამაცე, რომელმაც გამარჯვებას ბევრით შეუწყო ხელი. აგრეთვე გაიხსენა ინგლისიც, რომლის შესახებაც ათასი შავბედითი ხმები იყო გავრცელებული რუსეთში. ამ მოკლე ხანში დავრწმუნდებით, თუ რა იყო ინგლისი ზღვაზე თუ ხმელეთზე, რა ენერგია გამოიჩინა გამარჯვების მისაღწევადაო. გამოარკვია იტალეთის პოზიციაც, ესეც ამიერიდან ჩვენთან ერთად იქნება ბრძოლის ველზეო. ბოლოს შეეხო გერმანეთის პოლიტიკას დაპყრობილ ადგილებში. პოლონეთს მან მისცა ეროვნული უნივერსიტეტი და ამით დაკმაყოფილდა, მაგრამ ვინ არ იცის, თუ ომის დაწყებიდანვე ჩვენს დროშაზე როგორ დავაწერეთ მთელი პოლონეთის გაერთიანება და აღდგენა? გერმანეთმა ამის ნაცვლად მისი გაყოფა დაიწყეს, ხოლო პოლონელთა მცირე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით სცდილობს თვის განზრახვათა დაფარვასაო. შემდეგ შეეხო ნეიტრალ სახელმწიფოებს. შვეციასთან გვსურს კეთილ განწყობილებაში ვიყოთო. რაც შეეხება რუმინეთს, იგი ჯერჯერობით არ ჰფლატობს არჩეულ გზას, ნეიტრალიტეტობას იცავს, მაგრამ რა წამს დაჰკრავს საათი, იგი შეეცდება თავის ეროვნულ ზრახვათა განხორციელებასაო. სოლუნის ექსპედიციის შესახებ სთქვა, ეს არ არის ნეიტრალობის დარღვევა, ვინაიდან ჩვენი მოკავშირენი 1830 წლის ხელშეკრულობის მიხედვით მოექცნენ მას, როგორც საზოგადო ძალით განთავისუფლებულ ქვეყანასაო. გაიხსენა სერბეთისა ᲓᲐ მთაშავეთის ბედი ᲓᲐ აქედან გადარჩენილ ჯართა სულის განწყობილება, რომ ისინი არ დაცემულან, კვლავ ბრძოლისთვის მზად არიან ველზე გავიდნენო. კარგა ხანს შეჩერდა არზრუმის ციხის აღებაზე. ოსმალებიო, სთქვა მინისტრმა, დიდი ხანია სცდილობდნენ მთელი სომხეთის ამოჟლეტას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ისინი მოქმედობდნენ გერმანეთის გეგმის თანახმად, რათა შელდიდან სპარსეთის ყურემდე დაეარსებინათ გერმანო-მაჰმადიანთა იმპერია. ეს იქნებოდა ბასრი მახვილი ინგლისელთა და რუსთა ჰეგემონიის მოსასპობლად. „საზარელი სიზმარია, მაგრამ ღმერთია მოწყალეო!“ შესძახა მინისტრმა· გერმანელებმა ვერ გააწყეს რა, მათმა აგიტაციამ ამაოდ ჩაიარა სპარსეთშიაც, სადაც ჩვენი ჯარები იმარჯვებენო. ბოლოს იაპონიაც გაიხსენა, მან დიდი სამსახური გაგვიწია ამ ომშიო. დიდი მთავრის გიორგი მიხეილის ძის სტუმრობამ, რათა მეფისთვის მიელოცა გვირგვინის დადგმა, კეთილი ნაყოფი გამოიღოო.

**სამხედრო მინისტრის** გამოსვლას დიდის ტაშის ცემით შეეგება მთელი სათათბირო. მინისტრმა მოკლედ აღნუსხა ჯარის მოქმედება 1915 წლ. 19 მკათათვიდან, მას მერე რაც დასავლეთის ასპარეზიდან უკან დახევა იწყო, სასროლი მასალის სიმცირის გამო. ამ განსაცდელის დროს რუსეთის თვითმპყრობელმა იკისრა უმაღლესი მთავარსარდლობა. ჩვენი ჯარი, პოლონეთიდან გამოსვლის მერე, მოზღვავებულ მტერს უნდოდა ორად გაეპო და პოლესიის გაუვალ ადგილებში მოემწყვდია, ამისათვის მედგარი იერიშებით მოდიოდა პლოცკსა და მინსკისაკენ. 20 დღე განუწყვეტელი და საშინელი სისხლის მღვრელი ბრძოლა იყო სმორგონისა, ვილეიკისა და მოლოდეჩნის მიდამოებში. ჩვენს ჯარს დიდი ძალა დასჭირდა, რომ აქ გასარღვევად მოსეული მტერი შეეჩერებინა. დვინსა და გალიციაში მან შეაჩერა მოპირდაპირე, რის შემდეგაც ორი მხრივ სიწყნარე ჩამოვარდა. ამ მყუდროებით ვისარგებლეთ ძალღონის მოსაკრებად, სასროლ მასალის შესავსებად და ბრძოლის ხაზის გასამაგრებლად. ეხლა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ჩვენი ჯარი მაგრად სდგას. ბრძოლა სწარმოებს დვინზე, სტრიპაზე და ჩერნოვიცის მახლობლად. კავკასიის ჯარი, რომელმაც ამ დღეებში აიღო ოსმალეთის უმთავრესი სიმაგრე აზრუმი, უცვლელად განაგრძობს თავისს საუკუნოებით მოხვეჭილს სახელის განმტკიცებას. ყველა ასპარეზზე მყოფ ჩვენს ჯარს მტკიცედ სწამს საბოლოვო გამარჯვება. მინისტრმა აღნიშნა: გერმანეთის სიძლიერე უმთავრესად იმასაც მიეწერება, რომ იგი ყველა მოკავშირეების ჯარს ხელმძღვანელობას უწევს და მეორეც მისი მრწამსით, „ომში ყოველი საშუალება ნება დართულია“. გერმანეთს ნივთიერი დოვლათი ჯერ ბლომად აქვს, მაგრამ განა დიდხანს გასწვდება ხალხი? ამ მხრივ სანუგეშო ცნობები გვაქვს. ჩვენ კი საომრად ხალხი ჯერ ბევრი გვყავს და დიდხანსაც გავიწვდენთ, მათი ღირსების დამადასტურებელი კი აზრუმის აღებაცაა. საომარი მასალის დამზადების საქმე $3^1/_2$-ჯერ გადიდდა ომის დაწყების დროსთან შედარებით. საერთოდ თავდაცვის მასალა 2-დან $5^1/_2$-ჯერ გაიზარდა. მაგრამ ეს არ კმარა. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ თუ საბოლოვოდ არ დავამარცხეთ მტერი, რუსეთი ვერ უზრუნველჰყოფს დამოუკიდებელ ცხოვრებას, ვერ ისარგებლეს თავის ნაშრომით, ვერ განავითარებს თავის დოვლათს. არ შეიძლება დავიშუროთ მედგარი გარჯა-მუშაობა, როდესაც სანგრებში მილიონობით ჩვენი მახლობელნი სიცოცხლეს სწირავენ, ჩვენის დახმარების მოლოდინში, ოდეს ძლიერი და დაუნდობელი მტერი თავისი მძიმე ფეხით სთელავს ჩვენს მიწა-წყალს. მაგრამ დაიწყო მთელი რუსეთის ძალღონის მოკრება და უკვე ეხმარება კიდეც იგი რუსეთის მხედრობას (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

**საზღვაო მინისტრი** (ხანგრძლივს ტაშისცემით ეგებებიან). მისალმებისათვის ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა სახელით მადლობას უხდის და განაგრძობს: საზღვაო ომი სრულს საიდუმლოებას მოითხოვს, ამისათვის მხოლოდ მოკლე ცნობებს განაგრძობთ. უკანასკნელ ცნობების მერე, დიდი რამ ცვლილება არ მომხდარა, ბალტიის ზღვის ფლოტი რამდენიმე ნაღმოსანითა და წყალქვეშათი შევავსეთ, შავ ზღვაზე, ახალ წყალქვეშა ნავების გარდა, ფლოტს მიემატა მეორე ახალი გემიც, რომელიც ვადაზე ადრე დამზადდა. შარშან ზაფხულს და შემოდგომაზედაც ბალტიის ფლოტი ინგლისელთა წყალქვეშა ნავებით უმთავრესად მტრის სანაპიროებზე მოქმედებდა. გერმანელებს დაეღუპათ ერთი კრეისერი, რამდენიმე დიდი ნაღმოსანი და შეიარაღებული მოდარაჯე გემი. ამას გარდა რიგის ყურეშიაც დაეღუპათ გემები, რის შემდეგაც გერმანელებმა ხელი აიღეს დასავლეთ დვინის მიდამოებში ჯარის გაძლიერებაზე. ინგლისელების წყალქვეშამ დაჰღუპა გერმანელების ერთი ჯავშნიანი კრეისერი და დაუზიანა ერთი კრეისერი. ჩვენმა გემებმა ბალტიის ზღვაში ბევრი სავაჭრო გემი დაუღუპეს მოპირდაპირეს. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. შავი ზღვის ფლოტი ხელს უშლიდა ოსმალებს ანატოლიის სანაპიროებიდან სტამბოლში ქვანახშირის გადაზიდვის დროს, აგრეთვე ნებას აძლევდა მათ კავკასიის ასპარეზზე მყოფ ჯარისათვის საომარი მასალა მიეწოდებინათ. იაპონიის ფლოტმა დიდი არსებითი სამსახური გაგვიწია. მინისტრმა ბოლოს განაცხადა: ჩვენს ფლოტს ყველაფერი საჭირო მასალა, შეიარაღება, სასროლი თუ სათბობი, საკმაოდ აქვს და სრულიად დარაზმულია საბრძოლველად (ხანგრძლივი ტაში).

(დასასრული იქნება)

# დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**სრულიად რუსეთის ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობა მოწვეულია თორმეტ მარტს.**

გ. ვ.

—

**აზრუმისა და კამერუნის დაკარგვამ დიდი ვნება მიაყენა გერმანელების სახალხენო პოლიტიკასო—ამბობენ მცოდნე პირნი.**

—

**საბერძნეთმა და რუმინეთმა ხელშეკრულება დასდეს, თუ რომელიმე მათგანი ნეიტრალობას დაარღვევს, თანხმობით იმოქმედონ.**

—

**ოსმალებმა ერთს დღეს დასცალეს ზღვის სანაპიროები, დასავლეთისაკენ დაიხიეს და 30 ვერსის მოშორებით დაბანაკდნენ ათინიდან.**

# ახალი ამბავი

✦ **ხელმწიფე იმპერატორმა** უმაღლესად ინება წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენ-ხმლებით დაჯილდოვება კავკასიის ლაშქრის ინფანტერიის გენერლის იუდენიჩისა.

✦ **მეფის ნაცვლის განცხადება.** მეფის ნაცვალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ კავკასიის მცხოვრებთა საყურადღებოდ შემდეგი განცხადება გამოსცა: „ამით ვაცხადებ საყოველთაო საცნობად რომ ის საქმეები რომელიც ისეთ დანაშაულობას ეხება როცა ყაჩაღობას მოსდევს მკვლელობა ან დაჭრა დასახიჩრება, გამოყოფილ იქმნება საზოგადო დანაშაულობიდან და საომარ დროის კანონის ძალით განირჩევა, ხოლო სხვა საქმეები ყაჩაღობა-ქურდობაზე გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

✦ **მეფის ნაცვალი**, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და დიდი მთავარი რომანოზ პეტრეს ძე, ინფანტერიის გენ. იანუშკევიჩისა, კავკასიის შტაბის უფროსის გენერ. ბოლხოვიტინისა და ამალის თანხლებით, გუშინ, ნაშუადღევს 4 საათ. და 40 წუთ. აზრუმიდან თბილისს დაბრუნდნენ.

✦ **უცხო სტუმარი.** გუშინ, 10 თებერვალს, ნაშუადღევის 5 საათისათვის, თბილისში მოელოდნენ საფრანგეთის ცნობილ გენერალს პოოს—რომელიც საფრანგეთის სამხედრო უწყების წარმომადგენლად იმყოფება პეტროგრადში.

✦ **საზოგადოება „დიოსკურია“** თბილისში ჩამოვიდა წარმომადგენელი სოხუმში ახლად დაარსებულ ქართულ განმანათლებელ საზოგადოება „დიოსკურია“-სი (ძველი სახელი აფხაზეთისა) ძუკუ ლოლუა. ამ საზოგადოებას მიზნადა აქვს დასახული სოხუმის ოლქში და ნოვოროსიის გუბერნიაში წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. ამ მიზნის მისაღწევათ ბ-ნ ლოლუამ უნდა შეიძინოს თბილისში ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

✦ **ამ ჟამად** იბეჭდება მოსკოვში გრ. ვეშაპელის თხზულება: **ოსმალეთის საქართველო** (ჭანეთი, ტრაპიზონი და კლარჯეთი); თხზულება მისი პირვანდელი სახით იყო წაკითხული წარსულ წელს მოსკოვში ალ. ხახანაშვილის სახელობაზე არსებულ სამეცნიერო საზოგადოებაში; წიგნს ერთვის სურათები და რუკა ლაზისტანის, ტრაპიზონის და ბაიბურთის სანჯაკებისა“.

✦ **შიო მღვიმელის** სადღესასწაულო დილის მომწყობმა კომისიამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: დილის პირველი განყოფილება, რომელზედაც წაკითხულ უნდა იყოს მილოცვები, არას გზით **არ უნდა აღემატებოდეს ერთს საათს**, თითო სიტყვა **კი არ უნდა გაგრძელდეს 5 წუთზე მეტი.**

✦ **ბრძოლის ველზე** მოკლულ 2 ამა თებერვალს კორნეტ ბ. ვ. ლიონიძის სულის მოსახსენებლად გუშინ სამხედრო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი.

✦ **შაქრის დამალვა.** მიწად-მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულის ბ-ნ შაშკოვსკის განკარგულებით ქალაქის პოლიციას დაევალა სასტიკი ზომები იქმნეს მიღებულ იმ ვაჭართა წინააღმდეგ რომელნიც შაქარს მალავენ. შაქარი უნდა ჩამოერთვას უმალ და საჯაროდ გასყიდულ იქმნეს.

✦ **საოლქო სასამართლოს** სესსია გაემგზავრა სიღნაღს. სხდომები დანიშნულია 7—10 თებერვლამდე.

✦ **თბილისის გუბერნატორად** ყოფილ სტრახოვსკის უმაღლესის ბრძანებით დაევალა სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე დასწრება და ტაინი სოვეტნიკობა ებოძა.

✦ **სამხედრო სამრეწველო** თათბირზე, რომელიც ამ მოკლე ხანში შესდგება პეტროგრადში თბილისის სამხედრო - სამრეწველო კომიტეტმა თავის წარმომადგენლად ინჟ. ი. ე. პავლოვსკი აირჩია.

✦ **კავკასიის ქალთა საზოგადოება** დღეს თავის ბინაზე მართავს ჩვეულებრივ საღამოს საუბრით სხვა და სხვა საზოგადო თემებზე.

✦ **საბირჟო კომიტეტის სხდომა** რაც ბირჟის თავმჯდომარე ბ-ნი მილოვი დააპატიმრეს, კარგა ხანია არ შემდგარა. დღეს არის დანიშნული პირველი სხდომა.

✦ **თავის მოწამვლა.** ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მხითაროვის სახლში თავი მოიწამლა კონდუქტორის ქალიშვილმა მარიამ ლანდარენკომ 19 წლისამ.

✦ **გამოქცეული ჯარისკაცნი.** თბილისის პოლიციამ შეიპყრო გამოქცეულნი ჯარისკაცნი: გ. მირველიანცი, მ. ყაზაროვი, ყაზ. მეჩიტოვი, ა. იარალოვი, გ. ისრაელიანცი, ლ. მინდიევი და ვ. ზუბიშვილი.

✦ **ქალაქის ლომბარდს** არ ათბობენ, რის გამო იქ ერთობ ცივა. ხალხი გაკვირვებულია ამ გარემოებით,—ნუ თუ ლომბარდს არ შეუძლიან ბინის გათბობაო.

✦ **ახალი ნიხრი.** თბ. ვიცე გუბერნატორის მიერ დამტკიცდა ახალი ნიხრი პირველ საჭიროების სანოვაგეზე: ფოთიდან მიღებულ ფქვილზე 75 კაპ. მოემატა ტომარას, ბრინჯზე ერთი შაური (25 კაპ. 1 ხარისხისა და 18 კ. მეორე), შაქარზე 1 კაპ. (დამტვრეული 24 კაპ. თავისა 23 კაპ. ფხვნილი 20 კაპ.) კარტოფილზე ნახევარი კაპ. (4 კაპ.) თუშურ ყველზე 45 კაპ. ინდაურზე 50 კაპ. გირვანქა.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსების** გამგეობასთან არსდება ბიურო, რომელიც კურსების მსმენელ ქალებს დაეხმარება პედაგოგიურ, კანტორის, გაზეთის და სხვა და სხვა შრომის საშოვნელ ადგილების აღმოჩენას.

✦ **შავი ქვა.** სავაჭრო და სამრეწველო სამინისტრომ დაამტკიცა შორაპნის მაზრის შავი ქვის მწარმოებელთა კრების დადგენილება რომლითაც 1 იანვრიდან ამა წლისა შავი ქვაზე ნახ. კაპ. მეემატა ფუთზე.

✦ **ხარჯთაღრიცხვის შედგენა.** დღეს საღამოს ინჟენერთა თანადასწრებით კრება ექნება ქალაქის გამგეობის მიმდინარე წლისათვის ტრამვაის ხარჯთაღრიცხვის პროექტის შესადგენად.

✦ **წითელ ჯვრის გამგეობას** 1 იანვრამდე ამა წლისა შემოსულია შემოწირულებანი 13,792 მან. 48 კაპ. იანვრის განმავლობაში შემოსულია 2085 მან. და 16 კაპ. დახარჯულა 330 მან. 1 თებერვლისთვის ნაშთი უდრის 15547 მან. და 64 კ.

✦ **მაზუთის უქონლობა.** გუშინ ქალაქის გამგეობაში იყვნენ კერძო ელექტრონის სადგურების პატრონები და განაცხადეს, რომ მაზუთი არ მოგვეპოვება და თუ არ დაგვეხმარებით, რამდენიმე დღის შემდეგ იძულებული ვიქნებით მუშაობა შევწყვიტოთო. გამგეობამ ეს ამბავი ბ-ნ შაშკოვსკის აცნობა და ვაგონები სთხოვა მაზუთის მოსატანად ბაქოდან.

✦ **ხელოსანთა შორის.** საგანგებო სხდომაზე, რომელიც თბილისის ხელოსანთა ამქრის მამასახლისებისაგან შესდგა, განხილულ იქმნა საკითხი ისეთი დებულების შემოღებისა ხელოსანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორც ეს რუსეთშია მიღებული, ვინაიდან არსებული წესდებანი დაძველდა და არ ეგუება ეხლანდელ მოთხოვნილებებს, მაგალითად წერილობით ხელშეკრულობის დადება ხელოსანსა და შეგირდს შუა და სხვა.

✦ **ბიბლიოთეკის საქმე სასამართლოში.** 27 თებერვალს თბილისის ოლქის სასამართლოში გასარჩევად დანიშნულია ანაგის წიგნთსაცავის საქმე, რომელიც მთავრობამ დახურა და წიგნთსაცავის გამგე მღ. ახმეტელაშვილი პასუხის გებაში მისცა, რადგან წიგნთსაცავში ნებადაურთველი წიგნები აღმოჩნდა. რადგან აღნიშნული წიგნთსაცავი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ იყო გახსნილი და საზოგადოება დაინტერესებულია სასამართლოში საქმის გარჩევით, ამიტომ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დამცველად აიყვანა ი. ბარათაშვილი.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა კრება** დანიშნულია დღეს, 11 თებერვალს, გამგეობის ბინაზე.

✦ **სურსათი.** 9 თებერვალს თბილისში შემოიტანეს რკინის გზით: ფქვილი 5 ვაგ., ქერი 2 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ქატო 1 ვაგ., მარილი 2 ვაგ., ჩაი 1 ვაგ., ქაღალდი 2 ვაგ., ერბო 1 ვაგ., მაზუთი 15 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., თამბაქო 542 ფუთი.

✦ **გადამდები სენი.** გუშინ, 10 თებერვალს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 156, ხუნაგიანი 29, ყვავილიანი 1, სახადიანი 3, საოფლიანი 13, მუცელაიანი 1, წითელქარიანი 1 და მენინგიტიანი 3 კაცი.

# ნოგათები

## ახლო-მახლო

(ვუძღვნი ივანე შარაშიძის ძეგლს).

მთელი ღამე საიქიოში გახლდით... კი ნუ გგონია, მკითხველო, გატყუებდე, ან სიზმარს გეუბნებოდე!.. ნაცნობები შემომეხვიენ, ზოგი ომისა მკითხეს, ზოგიც შიმშილობისა. მეც მოვუყევი და რაც ვიცოდი ვუამბე, მაგრამ თვალი ყოველთვის განზე მრჩებოდა. ცოტა მოშორებით, უკან ხელებ შეწყობილი დასეირნობდა სანდო სახის ჩოხიანი მოხუცი, რომელსაც პატრიარქული, გასპეტაკებული წვერი გულმკერდს უმშვენებდა. მის თავზე ელვარე შარავანდედი სხივებს აფრქვევდა და არე-მარეს აშუქებდა. გვერდით ოქროს ტახტი ედგა და ზედ ერთი ხელი, ბაწრით შეკრული, საგებ-სახურავი ედვა. მოხუცი ღრმად ჩაფიქრებულიყო და თავი ძირს დაეშვა.

— ის ვინ არის-მეთქი?—შევეკითხე ნაცნობებს.

— ვერ იცანი, ხონელი ივანე შარაშიძე!—ერთხმად მიპასუხეს.

— ის შეკრული ქვეშსაგები რას ნიშნავს? მეთქი,—ვიკითხე.

— ეს ის ქვეშსაგებიაო,—მიპასუხეს,—რომელიც ივანემ „პოპეჩიტლის“ ოთახში შეიტანა, გაშალა და ზედ დაწვაო.

ვერაფერი გავიგე; კითხვისაც შემრცხვა·

— როგორ თუ არ იცი!—შემეკითხა ერთი ნაცნობი, რომელმაც დაბნეულობა შემატყო,—როცა ივანეს ერთ-ერთი სასწავლებლის შესახებ საქმე გაუჭირეს, გაბმული მიწერ-მოწერა გააჭიანურეს და მზრუნველთან თითქმის ასჯერ მისულს, ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ:—„ჯერ არ მოსულა შენი საქმეო“,—შეკრა მან ერთი ხელი ქვეშაგები, წაიღო და გასწია თბილისში, შეაღო მზრუნველის ოთახი, გაშალა ერთს კუთხეში და ზედ დაწვა.

— ე რა ამბავიაო?—კითხა მზრუნველმა ივანეს.

— არაფ[illegible]ჯიბე დამიცარიელდა, [illegible] და ბარემ აქ მივწვები და ვუყარაულებ ჩემს საქმესო,—უპასუხა ივანემ.

— მერე და გაჭრა ამ ხერხმა?—სიცილით შევეკითხე მე.

— რა თქმა უნდა! გონივრული თავგანწირულობა ყოველთვის აღწევს მიზანს. მზრუნველს ეთქვა:—„წადი, შენს საქმეს არ დავაგვიანებო“ და მართლაც, მოკლე ხანში დააკმაყოფილეს ივანეს წყურვილი.

— ვაშა—ვაშა!.. მაგრამ აქაც კაი ადგილი მიუციათ მეთქი,—ჩავილაპარაკე და კიდევ რაღაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ მოიხედა მოხუცმა და უცხო კაცი რომ შემნიშნა; პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და მკითხა:

— შენ რა გინდონდა აქაო?

— შემთხვევით მოვედი მეთქი,—ვუპასუხე და მის სახეზე ახლაც სკოლებზე ზრუნვა ამოვიკითხე.

მან ხელი მომკიდა, წამიყვანა ერთ კუთხისკენ და ბეწვის ხიდზე შემაყენა.

— არ შეგეშინდესო,—მითხრა მზრუნველობით.

— აბა რისი უნდა შემეშინდეს! განა არ ვიცი, აქედან არავინ ჩამოვარდება ცოდვილ დედამიწაზე მეთქი.

— ჩაიხედე ძირს და მიამბე შენი ნაგრძნობიო,—მითხრა ისევ ჩაფიქრებულმა.

ბეწვის ხიდიდან დედამიწა ისე მოსჩანდა, როგორც ვაშლი ხელის გულზე. გავიხედ-გამოვიხედე და მართლაც ბევრი რამ საკვირველება ვნახე.

— რატომ არაფერს ამბობ? ნუთუ ვერასა ხედავ?—შემეკითხა ისევ.

— ხედვით, ბევრ რამეს ვხედავ, მაგრამ არ ვიცი, რომელი-რა გაინტერესებს-მეთქი.

— ცოდვისა შვილო! შენ საიქიოდან მოსული არ უნდა იყო! როგორ ვერ გაგიგია, რომ სასწავლებლების გარდა, ჩემთვის ყოველივე ამაოებას წარმოადგენდაო!.. ერთი გადახედე იმ გაჩირაღდნებულ დაბას, აბა თუ იცნობო?

— ეგ ხონია-მეთქი,—მივუგე მე.

— ჰოო! აბა დათვალე ლამპრები!

მართლაც, რომ ხონი, დაბათა შორის, უდიდებულეს სანახაობას წარმოადგენდა; ელვარე სხივები ზედ დაქათქათებდენ.

— ახლა სხვაც ნახე!

— რა ვნახო, ბატონო ივანე, ყოველგან თითო და ისიც ძლივს მბჟუტავი ჰრაქები ანთია ჩვენს დაბებში მეთქი,—ვუპასუხე წყენით.

— კი, მარა შენი სენაკი რათ დაგავიწყდა, რომ მაზე არას ამბობო,—წყენითვე შემეკითხა მოხუცი.

— აბა რა უნდა ვსთქვა, რომ არსად არ სჩანს მეთქი.

— არა, ჯერ კიდევ ეძიე, კარგად ეძიე, იქნება თვალი მოავლო სადმე.

— თქვენი მაწყევარიც ნუა! არ ვეძიე თუ! მაზე წინ არც ერთი არ მიძებნია.

— რა თქმა უნდა, არ ჩანს!.. რაც ლამპრებია, ყველა სასწავლებლებისაა და თუ სასწავლებლები არა გაქვთ, არ სჩანდეს იქნება!

— რათა? ჩვენც გვაქვს სასულიერო...

— ის თქვენი არ არის, თქვენ მხოლოდ სარგებლობთ მითი,—მკვახედ მიპასუხა მოხუცმა და სპეტაკ წვერზე ხელი ჩამოისვა.—ესეც არ იყოს, სასულიერო სასწავლებელს ლამპარი არ ეკუთვნის, ის ხალხის ბრძოლით არ არის მოპოვებული, ლამპარი იმას ადგას, რომელიც ბრძოლით და ოფლით არის ნაშოვნიო.

მე ჩავფიქრდი, ვერაფერი ვუთხარი. ივანეც ჩაფიქრდა, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ ისევ მომიბრუნდა:

— აი, რას ვფიქრობდი! უნდა წავიდე სენაკს, რომ ვუთხრა იქაურებს, ტყუილად ნუ ელიან, რომ ვინმეს რამე გაუვარდეს ხელიდან... ასედაც რომ მოხდეს, გემო ბრძოლით მოპოვებულს აქვს, ის არის ცხოვრების მომნიჭებელი, მაგრამ მე იქ ხშირი სტუმარი არ ვყოფილვარ და შენ, როგორც ახლობელი, მიმასწავლე ვისთან მივიდე, რომ სასწავლებლებზე ველაპარაკო და გაუხარდესო.

ეს კითხვა ყინულის ლურსმანივით ჩაიჭრა ჩემს თავში და ენა დამიდუმდა.

— მითხარი ჰო!—მომაძახა ისევ მოხუცმა.

— აჰ! როდის მობრძანდები მეთქი!—ბანზე ავუგდე განზრახ სიტყვა.

— ვაი, ცოდვილს ქვეყანასო!—დაიღრიალა მწარედ, ამოიღო ცხვირსახოცი და მოიწმინდა ცრემლები.—ვაი!—დაიძახა კიდევ და ბეწვის ხიდიც ჩასწყდა.

მე თვალები დავხუჭე, რომ ჩემი კისრა-კოსრით ტრიალი ჩემივე თვალით არ დამენახა.

**კირილე წუთისოფლელი.**

# მეზოგლები

(სომეხთა ვაჭრების სიმდიდრის და მამულების წარმოშობა თფილისში და ქართული ოჯახის გაქრობა).

როგორც ვიცით ისტორიულადაც, 1801 წ. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. ამის შემდეგ თბილისში დაარსდა რუსეთელი გამგეობანი და ქართველთ სამეფოს მოხელენი დარჩნენ უსაქმურად, თითო ოროლამ კი, რომელსაც რუსული ენის იცოდნენ რამე იშოვნეს სამსახური, უმრავლესობა კი დარჩა უსაქმოდ. ასეთ პირთა რიცხვის უმეტესი ნაწილი ქართლის თავად-აზნაურთა შვილები იყვნენ, რომელთაც თბილისში ყველას აქვნდა თვისი საკუთარი სახლკარი და საცხოვრებელი, ზოგს ორი სასახლეც კი და ზოგს მეტიც თავის ბაღებით და ეზოებით, ასეთი გახლდათ თბილისში სურათი ქართვლის კაცის ცხოვრების.

ამ დროს, ანუ 1801 წ. თბილისი სავსე იყო ქართველთა დიდებულებით, სომეხთა რიცხვი მაშინ აქ სულ არ სჩანდა, იყო ორიოდ თავად-აზნაურის გვარის ოჯახნი, ისინიც თითქმის ქართველნი, მათ მარტოდ სარწმუნოება აქვნდათ სომხის, თორემ ენა და ზნე ხასიათი ისეთივე ქართული, როგორც ქართველს. მაშინ სომეხთა წიწერნაკი აქ ქართულად გალობდა. ბებუთაშვილებს, ამატუნს, ბეგთაბეგს, აზიმელიქს, და არყურთაშვილს ვერავინ უკიჟინებდა არა ქართველობას, იგინიც ისეთივე ქართველები იყვნენ როგორც ორბელიანები, ბარათაანი, ციციანი და სხვანი.

თბილისში სჩანდა რამდენიმე ოჯახი სომხის მოქალაქებისა, ისინიც ქართულად მოლაპარაკენი იყვნენ და მათს დედა ენას მაშინ მხოლოდ ქართული ენა შეადგენდა, მათი მაშინდელი დავთრებიც სულ ქართულად იწერებოდა. მათთვის სომხის „აზგასერობა“ მარტოდ ეკლესიაში არსებობდა, აქაც ხშირად ქადაგებაც კი ქართულ ენაზე სწარმოებდა.

1801 წლის შემდეგ, თბილისში სომეხთა იყო სულ 800-მდე პატარ-პატარა სავაჭრო ხუხულა დუქნები. 1795 წ. კი რამდენიმე ათასი იყო, იგი მაშინ მოისპო. ამ 800 დუქანში 200-მდე ქართველის იყო, მაშინდელ შეძლებულ ქართველ ვაჭართა რიცხვს ეკუთვნის სარაჯიშვილის გვარი, შათიროვის, ფორაქაშვილების, სარუხანოვის და ზოგიც სხვების.

საქართველოს რუსეთის დაკავშირებით ქართველების მაგიერ სომხებმა ისარგებლეს, მათ გაეხსნათ გზა და კვალი ვაჭრობისათვის, მათ წადგეს ფეხი წინ, იგინი დაწინაურდენ ცხოვრებით და სიმდიდრით და ქართველები კი მიეცნენ დავრდომას და დაცემას, თითქმის გაწვალებას დ თბილისში ალგვასაც კი, ამასაც მოგახსენებთ. რაკი, ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, ამიტომ თბილისში გაჩნდა რუსეთის მკვიდრობა და რუსის ხალხი, ამ გარემოებამ თბილისის სომხის ჩარჩებს გაეხსნა კარგი ვაჭრობა, მათ გაემართად აღებმიცემის საქმე უკეთესად და დაიწყეს ფულის შეძენა, ამ გარემოებამ მათში პატრიოტობაც გააჩაღა და სომხის მაღიარებელ ქართველებმა დაიწყეს თავიანთ სჯულ და საყდრის შესახებ ფიქრი და დარდები. გაჩაღდა მათში ცხარე კლერიკალური პატრიოტობა და ამ კლერიკალურ პატრიოტობას მათი სამღვდელოებაც უფრო აჩაღებდა მათში და ავითარებდა. იგინი იტყოდნენ საჯაროდ ასე:

— დიახ, ყველამ თავის სჯულის საქმე, თავის საყდრის საქმე უნდა იცოდეს და თავის საყდრის ენა. ჩვენ სომეხნი ვალდებულნი ვართ, რომ მარტოდ ჩვენის სჯულის სომეხ კაცს ვუშველოთ, ეს იმიტომ რომ სომეხ კაცს, ვაჭრობაში სომხის სჯული და საყდარი შველის და აბა მაშ სომეხმა ვილას უნდა უშველოს, თუ არ თავის სჯულის, სომეხ-კაცს, ამ მცნებით მათ თვისი თანამორწმუნენი ცხარე პატრიოტობით დარაზმეს, ამ პატრიოტებმა ქართველ ვაჭრებს დაუწყეს სისტემატიურად დევნა და მოკლე დროის განმავლობაში იგინი თბილისიდან სულ ალგავეს. ამათ ალგვით მოისპო ქართველთ ვაჭრობა თბილისში და ამ მოსპობას მოჰყვა ქართველი ოჯახის დაცემაც და მოსპობაც.

1805 წლამდე, თბილისში სომეხთა იყო შემდეგი საყდრები: ვანქის, მოღნინი, სუფნიშანი, ნორაშნის, ფეთხაინის, სუფ-გეურქის და სუფ სარქისის. სულ შვიდი საყდარი. მეტი არა, მაგრამ 1805 წლის შემდეგ, რაკი თბილისში გამრავლდა სომხის ვაჭრობა, მიტომ მათგან საყდრების შენებაც უხვად წავიდა წინ და სომხის ერიც გაიმართა წელში და მათი რიცხვიც გამრავლდა, ქართველნი კი აქ სასტიკათ მიეცნენ დავრდომას, მოსპობას და განადგურებას, ამ გარემოებას რასაკვირველია სომხის ჩარჩიც ხელს უწყობდა, რადგანაც ქართველთ ყოველივეს ესენი იძენდენ ოხერ ფასად.

სომხის ჩარჩებს ქართველთ მამულებზე და ქონებაზე ნავარდობა ქართველ მეფეების დროს სრულებით არ შეეძლოთ, იშვიათად, რომ XVIII საუკუნის გასვლამდე რომელიმე მდიდარ სომხის ვალში ქართველის თავადის კი არა და თუნდ გლეხის მამული გაყიდულიყოს. არ ყოფილა ამის მაგალითი და სომეხთა ვაჭრისაგან ერთი ოჯახიც არ ალგვილა დედამიწის პირიდან, ერთი ოჯახიც არ გამქრალა თბილისში, თუმცა მეფე ერეკლეს დროსაც აქვნდათ სომხის ჩარჩებს თბილისში კაი შეძლება და დუქანბაზარი და ვაჭრობაც.

უნდა ითქვას, რომ სომხის ვაჭრებს თუ ჩარჩებს ქართველთ მეფენიც დიდად მფარველობდნენ, მათი მფარველობის წყალობა იყო, რომ 1715 წლიდან თბილისის სომხის ჩარჩებმა მრავლად იწყეს გადასახლება ასტრახანს, იქ გააკეთეს სავაჭრო ქარვასლა და გამართეს ვაჭრობა, დღე და ღამ თბილისიდან სომეხ ვაჭართა მგზავრობა სწარმოებდა და საქონლის გატანა და შემოტანა თბილისში. ასტრახანელ სომხებმაც თბილისში მრავლად იწყეს გადმოსახლება და სხვა და სხვა სავაჭრო მაღაზიების დახსნა. ასტრახანელ სომხების ზოგი საქართველოს ქვეშევრდომობასაც იღებდა, მიტომ რომ აქ თავისუფლად ვაჭრობდენ და ფულსაც კარგად იგებდენ. მაშინდელმა ვაჭრებმა თუმცა მეფე ერეკლეც მოხიბლეს და ამან ერთ ვაჭარს ხოჯიმინასოვს თავადიშვილობაც კი მიუბოძა, მაგრამ მაინც ვნებით კი მაშინდელი სომხის ჩარჩები ქართველებს სულ ვერ ვნებდენ და ვერც ანიავებდენ, რადგანაც მეფობა ქართველის ერის იყო და მასთან ქართველთაც ჯერედ არ აქვნდათ თვისი სულის ძალა დაკარგული.

ზ. ჭ.

(დასასრული იქნება)

# დაბა-სოფლები

**დ. ცხინვალი.** ბარი რომ გასაჭირშია, ეს ყველასათვის ცხადია. მუშა ხელის ნაკლულოვანება, ვაჟკაცების წაყვანა ყველას სასოწარკვეთილებაში აგდებს. ყოველ დღეს ახალი უბედურება მოაქვს. შიმშილობა ძალაში შედის. საშინელი სიძვირე და ხელმოკლეთა მიერ ქურდობის გავრცელება ისეც გაჭირვებულ მცხოვრებთ ახალ ახალს უბედურობას ატეხავს თავზე.

მაგრამ სულ სხვაა დრტვინვა მთისა. მის ყოფას ვერ შეედრება ბარის სასოწარკვეთილება. მოგეხსენებათ, ჯერ ჩვეულებრივ ცხოვრებაში, როდესაც არც ომია და არც შიმშილობა, მთას მუდამ ბარისკენ უჭერია თვალი. ბარი მთისთვის უხვი ბეღელია, თუ ბარი გაუწვრა და ზურგი შეაქცია მთას, შიმშალით ამოსწყვეტს. მაგრამ გარემოება, როგორც ზემოდაც დავინახეთ, ისე დატრიალდა, რომ ბარს ამ ჟამად თავისთავისთვისაც ვერ მოუვლია, შიმშილობის აჩრდილის წინ თრთის და კანკალებს, მაშ რაღაი დახმარებას ალმოუჩენს მთას? ვერაფერს. ბეღელი მისი დაცარიელებულია! აი ამიტომაა, რომ მთას დედობას ველარ უწევს და დალვრემილი შვილობილი ღვთის ანაბარად დაუტოვებია.

მთელი ჯავის ხეობა ცხინვალიდან მოყოლებული საშინელს სივიწროვეს განიცდის. უამინდობამ ხომ სულ ააცრემლა აქაურები. საქონელი ძნელი შესანახავი გახდა. თოვლიანი მთა არას იძლევა. ჰხედავს, რომ ბარი მას ბოიკოტს არ უცხადებს, მაგრამ მისთვის ისიც აშკარაა, რომ თვითონ ბარს ალარა მოეპოვება რა: ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რას მისცესო. აი, ამიტომაა, რომ ვინც გადურჩა ჯარში წასვლას, იძულებული ხდება ერთგვარ „ნადირობას“ მიჰმართოს, „ინადიროს“ ადამიანებზე, გროშისთვის, ლუკმა პურისთვის...

უბედურება ის გახლავთ, რომ ამ მხარეს არავინ გამოუჩნდა ერთი ღვთისნიერი ადამიანი, რომელმაც ინიციატივა გამოიჩინოს და ადმინისტრაციის წინაშე იშუამდგომლოს, რათა რაიმე საშუალებას მიჰმართონ და ეს მხარე პურით ან სიმინდით მაინც უზრუნველი ჰყონ. ყველა მხრისთვის ზრუნვაში არიან, კახეთს ასე თუ ისე მიაწოდეს, ზრუნავენ დასავლეთ საქართველოს კუთხეთათვის, მაგრამ რომ ქართლსაც მიჰხედონ, ქართლის შვილობის მთას, ლიახვის ხეობას, არავინაა არც პატრონი, არც გამგონი. მთელი ეს მხარე თავის ვარამს გულში იბრუნებს, ჰკვნესის და მეფიქრების კვნესა იგი საბოლოოდ სასოწარმკვეთ ნაკადად არ გადმოიხეთქოს.

დაუთბეი

# პროვინციის ქრონიკა

**დ. ნაოლალევი** (სენაკ. მაზ.)

დ. ნაოლალევში სამი საზოგადო დაწესებულება არსებობს: წვრილი კრედიტის ამხანაგობა, კოოპერატიული დუქანი და უფასო წ.-საცავ სამკითხველო. საკოოპერაციო დუქანს ამ ხანად 170 წევრზე მეტი ჰყავს.

**ს. ძველეთი** (გორის მაზ.)

აქ არ არსებობს არვითარი კულტურული დაწესებულება.

**დ. ხობი** (ზუგდ. მაზ.)

ადგილობრივ ვაჭართა აღვირწახსნილობამ უმაღლეს წერტილს მიახწია: შიმშილი თანდათან ვითარდება. ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. საჭიროა მოწინავე პირებმა დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება.

**ს. ბაში** (ქუთ. მაზ.)

დღეს ყველა სოფელს დაეტყო წინსვლა ყველგან ხსნიან სამკითხველოს, აარსებენ მომხმარებელ საზოგადოებას და სკოლებს. მაგრამ სოფ. ბაშს არ ეღირსა არც ერთი კულტურული დაწესებულება.

— დღეს მოსავალი ძლიერ ცოტა იყო, ხალხს თითქმის ნახევარი წლის სარჩოც არ მოსვლიათ.

**ს. ხეთა.** (სამეგრელო).

ამ ბოლო წლებში ადგილობრივ ინტელიგენციას განსაკუთრებული საქმიანობა დაეტყო, რომელსაც შედეგათ მოყვა რამოდენიმე კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულების დაარსება.

**იანეთი.**

გადავწყვიტეთ გავხსნათ კოოპერატიული დუქანი, რომლის ნებართვა ვსთხოვეთ გუბერნატორს და იმედია რომ მალე ნებართვა გვექნება. შევუდექით უკვე საქმის მოწესრიგებას.

**ა ჭ ა რ ა.**

აჭარაში, გონის რაიონში კიდევ დარჩა მისაცემი იჯარით აჭარელთა მამულები, რომლებიც ამ მოკლე ხანში გაიცემა.

**ოზურგეთი.**

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო დვაბზუის საზოგადოებას, გახსნას მომხმარებელი საზოგადოება „საუნჯე“.

**ქუთაისი.**

4 თებერვალს ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დაიწყო ომში გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებისათვის სახაზინო ფულის დარიგება.

— 16 იანვრიდან 31-დი ქუთაისში შემოვიდა შემდეგი სანოვაგე: ფქვილი 16 ვაგონი, სიმინდი 25 ვაგონი, შეშა 18 ვაგონი, მარილი 1 ვაგონი, კარტოფილი 1 ვაგონი, მაზუთი 2 ვაგონი, ნავთი 3 ვაგონი, სხვა და სხვა სანოვაგე 2830 ფ.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

„სადი კავკაზი“-ს რედაქტორის გარდაცვალების გამო გაზ. „კასპი“ ეს შემდეგი სამძიმრის დეპეშა მოუვიდა: შუშის მაჰმადიანთა წარმომადგენელისაგან „ვგლოვობთ ჩვენც, შუშის მაჰმადიანები, საყვარელ ადამიანის დაკარგვას როგორც გაშიმ ბეგი ვეზიროვი იყო შეუერთეთ თქვენ მწუხარებას ჩვენი ცრემლებიც“.

დაუყოვნებლივ დაკეტილი იქმნა ყველა მაჰმადიანთა დუქნები, აგრეთვე შესწყვიტეს სწავლა სკოლებში. უმთავრეს მეჩითში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი: საზოგადოება სთხოვს პატივცემულ გაზეთის საშუალობით გამოუცხადოს სამძიმარი განსვენებულის ქვრივ, ამხანაგთ და თანამგრძნობელთ.

ორუჯაღე, მუშტაიდზადე, უსუფზადე, მოგერამ-ზადე და ალივერზადე“.

# სომეხთა ცხოვრება

პეტროგრადის სომეხთა საეკლესიო საბჭომ 5,000 მან. შესწირა თბ. სომხურ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას.

— თბ. სომხურ სამეურნეო საზოგადოებას თავისი რწმუნებული აბოვიანი ალაშქერთიდან იტყობინება, რომ რუსების მიერ დაპყრობილ მუშიდან და სხვა ადგილებიდან 300 გამოქცეული მოვიდაო. აბოვიანი დახმარებას თხოულებს.

# თეატრი და ხელოვნება

**თბილისი.**

კვირას 14 თებერვალს სახაზინო თეატრში გაიმართება შიო მღვიმელის საპატივსაცემო დილა.

— სამშაბათს, 16 თებერვალს, სახალხო სახლში მსახიობთა ამხანაგობა წარმოადგენს „მადამ სანჟენს“-ს.

— კვირას 14 თებერვალს დილით სახალხო სახლში ბეგლარიძე გამართავს სალიტერატურო დილას.

**ხ ო ნ ი.**

3 თებერვალს ხონის მოყვარეებმა წარმოადგინეს, გამართეს, რომლის წმინდა შემოსავალი, 63 მან. მოხმარდება ილიას სახელობის უფასო სამკითხველოს.

# რუსეთი

**გამოქცეულთა დახმარება.**

„რუსკ. სლოვოს“ პეტროგრადიდან ატყობინებენ: გამოქცეულთა თათბირზე გამოქვეყნებულ იქმნა კავკასიის მეფის მოადგილის შეკითხვა იეზიდების დახმარების შესახებ. მცირე განმარტების შემდეგ კითხვა დადებითად გადაწყდა. თუმცა იეზიდები ოსმალთა ქვეშევრდომები არიან, მაგრამ მუდამ ჩვენ მხარს გვიჭერენ და დახმარებაც უნდა ეძლიოთო.

**მიტროპოლიტი პიტირიმი.**

მიტროპოლიტმა პიტირიმმა ამ დღეებში მართლმადიდებელ ლატიშების ეკლესიაში ლატიშურ ენაზე სწირა. პიტირიმს ლატიშური სამაგალითოდ სცოდნია, რადგანაც თითონ ლიფლიანდიის გუბერნიიდან ყოფილა.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. | მ. | 9 | . 8.53 | საღ. |
| „ | საფ. | „ | 3 | . 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. | „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი | „ | 4 | . 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი | „ | 6 | . 12.8 | დღის |
| „ | სამგ. | „ | 8 | . 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. | მ. | 4 | . 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 10 | . 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. | „ | 3 | . 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი | „ | 5 | . 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 7 | . 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. | „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ 42 | „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 | დღის | |
| მელაანიდან . . . | 2 „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 წ. | დილ. | |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 | „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 | „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 წ. | დილ. | |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 | „ | „ |


**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

**„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).**

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვასრულებთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეზველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**ჯან-გატეხილ და დასუსტებულ ავადმყოფებს**

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმჟავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეჲი), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსუნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დაგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების საძირკველი სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოგვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნოებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნავმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით დ როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ჰხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექიმთან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიჰმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელიღაა მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდს დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდს ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და მსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭდვით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულს ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **საერთაშორისო სამკურნალო-საფარმაცევტო დეპო.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსუნატის, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.

2. გაარჯლებულ სუსუნატის მორჩენა—12 მ. 50 კ.

3. ნერვების აშლილობასა, სქესობრივ უილაჯობასა, ჯანის დაკარგვისა, სისუსტისა, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩაჩანაკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.

4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.

5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასისა, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.

6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ღვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.

7. ბევრი, სუსუნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდზე მიდგომის დროს ქავილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.

8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობისა (კატარი), ჰლექისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავავრცელოთ, რადგანაც გვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბეოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пущкинская № 3. отд. с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ—Фармацевтикъ.